ააიპ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრობის პირობები და კრიტერიუმები

<u>პირველი ნაბიჯი</u>

ასოციაციის ვებგვერდზე ------- გაეცანით ასოციაციის წესდებას, ასოციაციის წევრების ერთობლივ ხელშეკრულებას (მრავალმხრივი ხელშეკრულება ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრებს შორის) და ეთიკის კოდექსს.

<u>მეორე ნაბიჯი</u>

შეავსეთ განაცხადი, რომლის ხელმოწერითაც დაადასტურებთ ეთიკის კოდქსთან მიერთებას და საერთო წესების დაცვის ვალდებულებას.

<u>მესამე ნაბიჯი</u>

შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი წარმოადგენეთ ასოციაციის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე pcageorgia@yahoo.com

გამგეობა განიხილავს მას უახლოეს პერიოდში, მიიღებს გადაწყვეტილებას და ამ გადაწყვეტილებას მოგახსენებთ თქვენს მიერ მითითებულ ელფოსტაზე. ამის შემდეგ გამოგეგზავნებათ ასოციაციასი გაწევრიანების ხელშეკრულება.

<u>გაითვალისწინეთ:</u>

- ასოციაციის სრულ წევრს აქვს ასოციაციის მმართველ ორგანოებში საკუთარი წარმომადგენლის წარდგენის და არჩევნებში მონაწილეობის უფლება;
- ასოციაციის სრული წევრი წლიურ საწევრო გადასახადს 1800 ლარის ოდენობით იხდის ერთიანად წინსწრებით;
- ყველა წევრს გადაეცემა წევრობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- ასოციაციის წევრისათვის იფლოუს გადასახადი ერთი იუზერისათვის წელიწადში 120 ლარია და გადახდა ხდება ერთიანად წინსწრებით;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მომსახურება -- თვეში 300 ლარია და გადახდა ხდება წელიწადში ორჯერ წინსწრებით;
- დამატებითი მომსახურებები, პირობები და მათი საფასური განისაზღვრება გამგეობის მიერ.

- ასოციაციის ასოცირებული წევრი არ იხდის წლიურ საწევროს გადასახადს;
- ასოცირებულ წევრს გადაეცემა წევრობის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- ასოცირებულ წევრს არ აქვს ასოციაციის მმართველ ორგანოებში საკუთარი წარმომადგენლის წარდგენის ან არჩევნებში მონაწილეობის უფლება.
- ასოციაციის ასოცირებული წევრისათვის იფლოუს გადასახადი ერთი იუზერისათვის წელიწადში 400 ლარია და გადახდა ხდება ერთიანად წინსწრებით (არაუმეტეს ორი იუზერისა);

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მომსახურება -- თვეში 500 ლარია და გადახდა ხდება წელიწადში ორჯერ წინსწრებით;
- დამატებითი მომსახურებებზე წვდომის შესაძლებლობა, პირობები და მათი საფასური განისაზღვრება გამგეობის მიერ, ასოცირებული წევრის მომართვის საფუძველზე, კონკრეტულ შემთხვევაში.
- ასოცირებული წევრობა შესაძლებელია არაუმეტეს ორი კალენდარული წლისა;

გისურვებთ წარმატებას
პატივისცემით
ასოციაციის გამგეობა